

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან
ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	17
4. შემოსავალი.....	17
5. პირდაპირი ხარჯები.....	17
6. სხვა შემოსავლები	18
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	18
8. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები	18
9. ფინანსური ხარჯი, ნეტი.....	18
10. ძირითადი საშუალებები.....	19
11. არამატერიალური აქტივები	20
12. მარაგები.....	20
13. მოთხოვნები	21
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	21
15. მიღებული სესხები.....	21
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
17. პირობითი ვალდებულებები.....	23
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	23
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	27

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს თ და კ რესტორნების მენეჯმენტს და დამფუძნებლებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ **შპს თ და კ რესტორნების** (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

ჩვენ ასევე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება 18-ე შენიშვნაზე, რომლის თანახმადაც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს 11,566,095 ლარით. მოკლევადიანი ლიკვიდურობის ინდიკატორების გაურესების მიზეზები და მენეჯმენტის მიერ ამ ინდიკატორების გამოსწორების გადაწყვეტილებები განმარტებულია მე-2 შენიშვნაში, საქმიანობის უწყვეტობის პარაგრაფში. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე მოსაზრების გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 მარტი 2018

შპს თ და კ რესტორნები

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	4	63,685,685	50,212,984
პირდაპირი ხარჯები	5	(49,823,292)	(39,864,851)
საერთო მოგება		13,862,393	10,348,133
სხვა შემოსავალი	6	937,902	1,011,350
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,827,253)	(3,117,854)
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები	8	(2,557,827)	(2,129,318)
ფინანსური ხარჯები, ნეტო	9	(7,022,693)	(5,077,923)
გადაფასებიდან მიღებული ზარალი	10	(2,614,987)	-
სხვა ხარჯები		(158,115)	(195,175)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(1,380,580)	839,213
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი		(247,678)	2,673,265
წმინდა ზარალი/(მოგება)		(1,628,258)	3,512,478
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგება ან ზარალში:			
გადაფასებიდან მიღებული მოგება	10	31,968,625	-
მთლიანი სრული შემოსავალი		30,340,367	3,512,478

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2018 წლის 29 მარტს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი

თენგიზ კაპანაძე

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ბექა სტურუა

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	85,222,538	48,891,408
არამატერიალური აქტივები	11	1,556,013	1,190,166
გადახდილი ავანსები		-	847,407
		86,778,551	50,928,981
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	3,651,559	3,036,314
მოთხოვნები	13	924,258	331,755
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,222,651	948,705
		5,798,468	4,316,774
სულ აქტივები		92,577,019	55,245,755
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,677,000	1,677,000
გადაფასების რეზერვი	10	31,968,625	-
გაუნაწილებელი მოგება		8,814,392	11,846,159
		42,460,017	13,523,159
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	35,947,605	25,192,552
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	8,382,600	8,171,187
მიღებული სესხები	15	5,786,797	8,358,857
		14,169,397	16,530,044
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		92,577,019	55,245,755

შპს თ და კ რესტორნები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	1,677,000	-	9,737,190	11,414,190
მფლობელებზე განაწილება გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(1,403,509)	(1,403,509)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	3,512,478	3,512,478
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	1,677,000	-	11,846,159	13,523,159
მფლობელებზე განაწილება გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(1,403,509)	(1,403,509)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	-	31,968,625	(1,628,258)	30,340,367
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	1,677,000	31,968,625	8,814,392	42,460,017

შპს თ და კ რესტორნები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	76,782,687	60,724,091
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(65,218,512)	(51,889,346)
გადახდილი პროცენტი	(3,567,337)	(2,125,124)
გადახდილი მოგების გადასახადი	(247,678)	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	7,749,160	6,709,621
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა	(175,675)	(400,728)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(9,623,955)	(14,390,129)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	38,466
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(9,799,630)	(14,752,391)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
წმინდა შემოსულობანი სესხებიდან	4,154,086	10,074,973
გადახდილი დივიდენდები	(1,403,509)	(1,403,509)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	2,750,577	8,671,464
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა	700,107	628,694
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	948,705	644,340
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფული და ფულის ეკვივალენტებზე	(426,161)	(324,329)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,222,651	948,705

1. ზოგადი ინფორმაცია

თ და კ რესტორნები დაარსდა 1997 წლის 16 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია საქმიანობს მაკდონალდსის სწრაფი კვების ობიექტების ქსელით და წარმოადგენს მაკდონალდსის კორპორაციის ფრანჩაიზს. 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანია წარდგენილი იყო თერთმეტი რესტორნით საქართველოს ხუთ ქალაქში: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და ზუგდიდი. 2017 წელს კომპანიამ გახსნა თბილისში და ქუთაისში ორი რესტორანი.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელები არიან:

	2017	2016
თემურ ჭყონია	90%	90%
თენგიზ კაპანაძე	10%	10%
	100%	100%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, მმები კაკაბაძეების ქუჩა N1.

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია თენგიზ კაპანაძე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებებისა (მიწა, შენობები და დაუმთავრებელი მშენებლობა), რომელთა აღრიცხვისთვის გამოყენებული იქნა გადაფასების მოდელი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიის მიერ ფლობილი საბრუნავი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებული იყო გრძელვადიანი ინვესტიციებისათვის. ამ ქმედებამ მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტზე უარყოფითად იმოქმედა, როგორც წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების 18-ე შენიშვნაში. მენეჯმენტი აწარმოებს მოლაპარაკებებს ადგილობრივ და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, რათა მოიზიდოს ახალი დაფინანსების წყაროები უკეთესი სასესხო პირობებით. კომპანია მიზნად ისახავს ზემოთ აღნიშნული დაფინანსების გამოყენებას თავისი სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად, რაც გააუმჯობესებს მის მოკლევადიანი ლიკვიდურობის დეფიციტს.

რადგან კომპანია ვითარდება მენეჯმენტის მიერ გაწერილი გეგმის მიხედვით, გააჩნია დადებითი ფინანსური მაჩვენებლები და სტაბილური საოპერაციო მოგება, მენეჯმენტს სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და კომპანია აპირებს გააგრძელოს თავისი საქმიანობა საპროგნოზო მომავალში.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალ სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეს მომავალში გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ფონდს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც.

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15, „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” და სარგებელი კლიენტს გადაეცემა. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე გამოყენებაც.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 - ლიზინგი, IFRIC 4 - განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან.

კომპანიამ შეაფასა და თვლის რომ ახალი სტანდარტები, ფასს 15 და ფასს 9 მომავალში არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია ფასს 16-ის გავლენის შეფასების პროცესშია, რადგან მან შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ სრულ ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, იმ ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საქმიანობს კომპანია. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044	3.5005
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940	3.2579

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია),

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. რეზერვის ზარალის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეიტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე, გარდა მიწების, შენობებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
მიწა	ცვეთა არ ერიცხება
შენობები	10 - 35
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	12 - 35
რესტორნის აღჭურვილობა და დანადგარები	5 - 10
რესტორნის ავეჯი და ინვენტარი	5 - 20
საწყობის აღჭურვილობა	5 - 15
სხვა	3 - 7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები ჩაირთვება განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში. განსაკუთრებული აქტივი არის ისეთი აქტივი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისთვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს პროცენტს და საკურსო სხვაობის ზარალს, იმ მოცულობით რომლითაც იგი აკორექტირებს საპროცენტო ხარჯებს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივითვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მიწუსს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

მიღებული ფასდაკლება

კომპანიას საოპერაციო პროცესში იღებს ორი სახის ფასდაკლებას:

ა) სავაჭრო ფასდაკლება მომწოდებლებისგან, რომელსაც კომპანია გამოიმუშავებს პერიოდში წინასწარ შეთანხმებული რაოდენობის პროდუქციის შეძენის ან გაყიდვის შემთხვევაში. სავაჭრო ფასდაკლებები ამცირებს შესყიდული მარაგის თვითღირებულებას ან აისახება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებად.

ბ) ფასდაკლებები, რომლებიც დაკავშირებულია ვალდებულების დაფარვასთან. ამგვარი ფასდაკლებები წარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავლებად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

კომპანია შემოსავალს აღიარებს, როდესაც დაკმაყოფილდება ქვემოთ აღწერილი თითოეული ძირითადი შემოსავლის წყაროს აღიარების კრიტერიუმები. კომპანიის შეფასება ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას რომელიც ითვალისწინებს მომხმარებლის ტიპს, ოპერაციის შინაარსს და თითოეული გარიგების სპეციფიკურ საკითხებს.

ა) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ბ) მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ: ა) საწარმო შესრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და ბ) გრანტი იქნება მიღებული.

შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და გამოიქვითება შესაბამისი ხარჯებიდან.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ განმარტებულია, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოხდება, მაშინ აქტივები და მასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში იმ პერიოდში. როდესაც მოხდა შეფასებების ცვლილება.

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამოქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე და საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

რეალური ღირებულებით შეფასება. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე: დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული). დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს. დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას. კომპანიამ რეალური ღირებულებით შეაფასა ძირითადი საშუალებების შემდეგი ჯგუფები: მიწები და შენობები, დაუმთავრებელი მშენებლობა, დამატებითი ინფორმაცია განმარტებულია მე-10 შენიშვნაში.

4. შემოსავალი

	2017	2016
საკვები და სასმელი პროდუქციის რეალიზაცია	61,258,935	48,385,554
არასაკვები პროდუქციის რეალიზაცია	2,426,750	1,827,430
	63,685,685	50,212,984

5. პირდაპირი ხარჯები

	2017	2016
მასალები	(25,350,685)	(19,424,378)
ხელფასები	(9,220,269)	(7,650,528)
როიალტი	(5,371,547)	(4,294,021)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,547,717)	(3,680,464)
კომუნალური	(1,520,853)	(1,324,607)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(1,010,067)	(893,934)
რესტორნის მოვლა-დასუფთავების ხარჯები	(703,092)	(603,445)
დაცვა	(56,033)	(48,493)
სხვა	(2,043,029)	(1,944,981)
	(49,823,292)	(39,864,851)

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მასალების ხარჯი მოიცავს 1,182,434 და 1,509,999 ლარის საქონლის დანაკლისს, რომელიც აღმოჩენილი იყო ინვენტარიზაციის შედეგად.

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

6. სხვა შემოსავლები

	2017	2016
შემოსავალი რეკლამირებიდან და წახალისებიდან	595,786	565,869
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	154,704	-
ვალის პატიებიდან წარმოქმნილი მოგება	-	158,153
სხვა	187,412	287,328
	937,902	1,011,350

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
თანამშრომელთა სარგებელი	(2,569,073)	(2,466,767)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(641,933)	(115,971)
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	(330,238)	(266,568)
ცვეთა და ამორტიზაცია	(68,308)	(33,589)
სხვა	(217,701)	(234,959)
	(3,827,253)	(3,117,854)

უმალესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება განმარტებულია 19-ე შენიშვნაში.

8. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები

მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები მოიცავს სატელევიზიო, რადიო და სხვა სარეკლამო ხარჯებს.

9. ფინანსური ხარჯი, ნეტი

	2017	2016
ფინანსური შემოსავლები		
სესხების საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი	459,447	-
ფინანსური ხარჯები		
საპროცენტო ხარჯები	(3,443,103)	(2,226,052)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტი	(4,039,037)	(2,851,871)
	(7,482,140)	(5,077,923)
ფინანსური ხარჯი, ნეტი	(7,022,693)	(5,077,923)

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები და მიწები	რესტორნის აღჭურვილობა და დანადგარები	რესტორნის ავეჯი და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საწყობის აღჭურვილობა	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება								
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	23,625,903	9,110,472	8,454,765	1,645,553	1,027,952	425,182	246,774	44,536,601
შეძენა	1,247,718	2,868,625	2,400,037	59,499	641,889	39,872	10,662,013	17,919,653
სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	-	260,239	260,239
დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადმოტანა	9,642,705	1,482,392	-	-	-	-	(11,125,097)	-
გასვლა	-	(1,119)	(113,705)	-	-	-	-	(114,824)
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	34,516,326	13,460,370	10,741,097	1,705,052	1,669,841	465,054	43,929	62,601,669
შეძენა	3,947,096	2,928,846	1,021,483	720,236	312,798	877,012	1,479,596	11,287,067
სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	-	172,621	172,621
გადაფასების ნამეტი	27,976,408	-	-	-	-	-	421,543	28,397,951
გადაფასებიდან მიღებული ზარალი	(3,890,044)	-	-	-	-	-	-	(3,890,044)
გასვლა	-	(1,540)	(213)	-	(17,922)	(183,216)	-	(202,891)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	62,549,786	16,387,676	11,762,367	2,425,288	1,964,717	1,158,850	2,117,689	98,366,373
დაგროვილი ცვეთა								
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	(2,829,426)	(2,714,797)	(3,273,854)	(273,624)	(915,195)	(171,350)	-	(10,178,246)
ცვეთა	(841,333)	(1,243,044)	(1,262,221)	(165,023)	(42,389)	(66,906)	-	(3,620,916)
გასვლა	-	155	88,746	-	-	-	-	88,901
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(3,670,759)	(3,957,686)	(4,447,329)	(438,647)	(957,584)	(238,256)	-	(13,710,261)
ცვეთა	(1,174,972)	(1,584,497)	(1,042,387)	(197,480)	(252,610)	(229,549)	-	(4,481,495)
გადაფასება	4,845,731	-	-	-	-	-	-	4,845,731
გასვლა	-	840	212	-	17,922	183,216	-	202,190
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(5,541,343)	(5,489,504)	(636,127)	(1,192,272)	(284,589)	-	(13,143,835)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	30,845,567	9,502,684	6,293,768	1,266,405	712,257	226,798	43,929	48,891,408
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	62,549,786	10,846,333	6,272,863	1,789,161	772,445	874,261	2,117,689	85,222,538

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობებისა და მიწების რეალური ღირებულება მოიცავს მიწების რეალურ ღირებულებას ჯამური ღირებულებით 28,159,069 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები, ჩადებული იყო სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

დაუმთავრებელი მშენებლობების საბალანსო ღირებულება მოიცავს ქალაქ ბათუმში ახალი რესტორნის მშენებლობასთან დაკავშირებულ თანხებს. მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ კომპანია ახალ რესტორანს გახსნის 2018 წლის ივნისში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შეიმუშავა შენობებისა და მიწების შემდგომი აღრიცხვის ახალი პოლიტიკა. აღნიშნული აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეალური ღირებულებით შეფასებულ იქნა დამოუკიდებელი და კვალიფიციური შემფასებლის მიერ.

11. არამატერიალური აქტივები

	ფრანჩაიზინგი	საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი 2015	829,564	470,991	1,300,555
შეძენა	206,772	170,027	376,799
31 დეკემბერი 2016	1,036,336	641,018	1,677,354
შეძენა	242,363	258,014	500,377
31 დეკემბერი 2017	1,278,699	899,032	2,177,731
დაგროვილი ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2015	(223,122)	(170,929)	(394,051)
ამორტიზაცია	(44,871)	(48,266)	(93,137)
31 დეკემბერი 2016	(267,993)	(219,195)	(487,188)
ამორტიზაცია	(54,469)	(80,061)	(134,530)
31 დეკემბერი 2017	(322,462)	(299,256)	(621,718)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2016	768,343	421,823	1,190,166
31 დეკემბერი 2017	956,237	599,776	1,556,013

2017 წელს კომპანიამ გადაიხადა ფრანჩაიზინგის საფასური მაკდონალდსის ორი ახალი რესტორნის გახსნისთვის.

2015 წლის 1 იანვარს გაფორმებული ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების თანახმად, კომპანიის ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 3:2 - ზე მეტი.

12. მარაგები

	2017	2016
საკვები ინგრედიენტები	2,560,751	1,946,450
შესაფუთი მასალები	444,084	385,375
სათამაშოები	206,305	307,501
რესტორნის სახარჯო მარაგები	267,297	208,580
სხვა	173,122	188,408
	3,651,559	3,036,314

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები, ჩადებული იყო სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

13. მოთხოვნები

	2017	2016
ფინანსური აქტივები დაკლასიფიცირებული, როგორც სესხები და მოთხოვნები გარდა ფული და ფულის ეკვივალენტებისა		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	457,585	66,153
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	465,802	200,798
წინასწარ გაწეული ხარჯები	22,594	86,527
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვი	(21,723)	(21,723)
	466,673	265,602
სულ მოთხოვნები	924,258	331,755

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები არ იყო არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 18-ე შენიშვნაში.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2017	2016
ფული სალაროში	512,081	278,129
ფული ბანკში	703,228	602,486
ფული გზაში	7,342	68,090
	1,222,651	948,705

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 18-ე შენიშვნაში.

15. მიღებული სესხები

სესხის გამცემი:	2017	2016
ფინანსური ინსტიტუტები	31,232,016	20,998,059
რეზიდენტი კომპანიები	5,703,889	5,951,725
არარეზიდენტი კომპანიები	4,798,497	5,487,378
კომპანიის მფლობელი	-	1,114,247
	41,734,402	33,551,409

2017 წლის მაისში კომპანიამ და მისმა პარტნიორმა საწარმოებმა, რომლებიც იყვნენ საერთო კონტროლის ქვეშ, გააფორმეს საერთო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება თიბისი ბანკთან. ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის მანძილზე და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებს აქვთ დაწესებული შეზღუდვა საკრედიტო ხაზის ფარგლებში ჯამურ ასათვისებელ თანხაზე. სესხი არის უზრუნველყოფილი კომპანიის მოძრავი და უძრავი ქონებით საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების სასარგებლოდ.

თიბისი ბანკიდან მიღებული სესხი გამოყენებულ იქნა საქართველოს ბანკთან არსებული სესხის გადასახდელად და ასევე საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

მიღებული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, გარდა თიბისი ბანკისგან მიღებული სესხებისგან. დამატებითი ინფორმაცია განმარტებულია 18-ე შენიშვნაში.

მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 18-ე შენიშვნაში.

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაწილის გამიჯვნა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
მოკლევადიანი		
ძირი	5,593,764	8,208,630
პროცენტი	193,033	150,227
	5,786,797	8,358,857

გრძელვადიანი

ძირი	35,947,605	25,192,552
------	------------	------------

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებების რეკონსილაცია ფინანსური ოპერაციებიდან:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33,551,409
მიღებული სესხების ზრდა	37,029,072
საპროცენტო ხარჯი აღიარებული მოგება ან ზარალში	3,443,103
საპროცენტო ხარჯი წარდგენილი ძირითად საშუალებებში, როგორც სესხის	172,621
სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	
გადახდილი ძირი	(32,173,035)
გადახდილი პროცენტი	(3,567,337)
ზარალი საკურსო სხვაობებიდან, ნეტი	3,738,016
მოგება თავდაპირველი აღიარებიდან	(459,447)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41,734,402

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017	2016
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	6,740,830	7,124,501
როიალიტის ვალდებულება	486,638	373,527
სხვა ვალდებულებები	232,066	50,650
	7,459,534	7,548,678

არაფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულება	923,066	622,509
--------------------------	---------	---------

სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	8,382,600	8,171,187
--	------------------	------------------

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო. ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 18-ე შენიშვნაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად 923,066 ლარი და 622,509 ლარი როგორც ვალდებულება, შესაბამისად.

17. პირობითი ვალდებულებები**საოპერაციო იჯარა**

კომპანიას საოპერაციო იჯარით აღებული აქვს მიწები და კომერციული ფართი რესტორნისთვის. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი არის 10-დან 45 წლამდე განახლების პირობით. შეუწყვეტადი საიჯარო გადასახდელების ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ერთ წლამდე	701,985	354,131
ერთიდან ხუთ წლამდე	2,078,900	1,416,523
ხუთი წლის შემდეგ	6,465,660	1,744,481
	9,246,545	3,515,135

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი
 - სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები	457,585	66,153
ფული ბანკში	1,222,651	948,705
	1,680,236	1,014,858
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	41,734,402	33,551,409
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,459,534	7,548,678
	49,193,936	41,100,087

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
მოთხოვნები	457,585	66,153
ფული ბანკში	710,570	670,576
	1,168,155	736,729

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. მენეჯმენტი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფულადი აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
მოთხოვნები	457,585	-	-	457,585
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,222,651	-	-	1,222,651
	1,680,236	-	-	1,680,236
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	5,786,797	25,073,439	10,874,166	41,734,402
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,459,534	-	-	7,459,534
	13,246,331	25,073,439	10,874,166	49,193,936
ლიკვიდურობის სხვაობა	(11,566,095)	(25,073,439)	(10,874,166)	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(11,566,095)	(36,639,534)	(47,513,700)	

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
მოთხოვნები	66,153	-	-	66,153
ფული და ფულის ეკვივალენტები	948,705	-	-	948,705
	1,014,858	-	-	1,014,858
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8,358,857	18,080,022	7,112,530	33,551,409
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,548,678	-	-	7,548,678
	15,907,535	18,080,022	7,112,530	41,100,087
ლიკვიდურობის სხვაობა	(14,892,677)	(18,080,022)	(7,112,530)	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(14,892,677)	(32,972,699)	(40,085,229)	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც მას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ლარში და ევროში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმ დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხები დენომინირებული ევროში		სესხები დენომინირებული ლარში		
საპროცენტო	საპროცენტო	საპროცენტო	საპროცენტო	
განაკვეთის ზრდა	განაკვეთის შემცირება	განაკვეთის ზრდა	განაკვეთის შემცირება	
100 საბაზისო	100 საბაზისო	100 საბაზისო	100 საბაზისო	
ერთეულით	ერთეულით	ერთეულით	ერთეულით	
მოგება/ (ზარალი)	(302,059)	302,059	(8,762)	8,762

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის უერთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო	ჯამი
ფინანსური აქტივები				
მოთხოვნები	457,585	-	-	457,585
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,091,209	-	131,442	1,222,651
	1,548,794	-	131,442	1,680,236
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	874,627	1,756,869	39,102,906	41,734,402
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,864,267	1,522,836	1,072,431	7,459,534
	5,738,894	3,279,705	40,175,337	49,193,936
ღია საბალანსო პოზიცია	(4,190,100)	(3,279,705)	(40,043,895)	(47,513,700)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო	ფუნტი	ჯამი
ფინანსური აქტივები					
მოთხოვნები	66,153	-	-	-	66,153
ფული და ფულის ეკვივალენტები	673,522	267,973	7,210	-	948,705
	739,675	267,973	7,210	-	1,014,858
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	5,331,002	28,220,407	-	33,551,409
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,894,694	1,376,736	2,156,139	121,109	7,548,678
	3,894,694	6,707,738	30,376,546	121,109	41,100,087
ღია საბალანსო პოზიცია	(3,155,019)	(6,439,765)	(30,369,336)	(121,109)	(40,085,229)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

შპს თ და კ რესტორნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

სავალუტო რისკის მგრძნობელობა	2017		2016	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(655,941)	655,941	(1,287,953)	1,287,953
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(8,008,779)	8,008,779	(6,073,867)	6,073,867

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017		2016	
	საერთო კონტროლის ქვეშ	მფლობელი	საერთო კონტროლის ქვეშ	მფლობელი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
მარაგების შეძენები	792,740	-	1,225,633	-
ვალდებულებები	1,346,876	-	975,849	-
მიღებული სესხები	-	-	-	1,114,247
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
საპროცენტო ხარჯი	-	(86,890)	-	-

უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურება

	2017	2016
მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელო	1,156,244	1,153,996

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს თ და კ რესტორნების მენეჯმენტს და დამფუძნებლებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს თ და კ რესტორნების (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

მნიშვნელოვან გარემოებათა აზნაგი

ჩვენ ასევე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება 18-ე შენიშვნაზე, რომლის თანახმადაც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს 11,566,095 ლარით. მოკლევადიანი ლიკვიდურობის ინდიკატორების გაურესების მიზეზები და მენეჯმენტის მიერ ამ ინდიკატორების გამოსწორების გადაწყვეტილებები განმარტებულია მე-2 შენიშვნაში, საქმიანობის უწყვეტობის პარაგრაფში. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – „ბიდიო ინტერნეტნალ ლიმიტედის“ წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე მოსაზრების გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ქუუუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 მარტი 2018

შპს თ და კ რესტორნები

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	4	63,685,685	50,212,984
პირდაპირი ხარჯები	5	(49,823,292)	(39,864,851)
საერთო მოგება		13,862,393	10,348,133
სხვა შემოსავალი	6	937,902	1,011,350
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,827,253)	(3,117,854)
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები	8	(2,557,827)	(2,129,318)
ფინანსური ხარჯები, ნეტო	9	(7,022,693)	(5,077,923)
გადაფასებიდან მიღებული ზარალი	10	(2,614,987)	-
სხვა ხარჯები		(158,115)	(195,175)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(1,380,580)	839,213
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი		(247,678)	2,673,265
წმინდა ზარალი/(მოგება)		(1,628,258)	3,512,478
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგება ან ზარალში:			
გადაფასებიდან მიღებული მოგება	10	31,968,625	-
მთლიანი სრული შემოსავალი		30,340,367	3,512,478

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2018 წლის 29 მარტს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი




თენგიზ კაპანაძე

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ბეკა სტურუა

9 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „თ და კ რესტორნები“

მაკდონალდს საქართველო



თბილისი

2018

სარჩევი

1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ	5
1.1 ჩვენი გუნდი	6
1.2 მაკროეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი ნიშანთვისებები.....	7
2. კომპანიის განვითარების გეგმები.....	7
3. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	9
4. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	9
5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები:.....	10
5.1 ფინანსური მაჩვენებლები.....	10
5.2 არაფინანსური მაჩვენებლები	14
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	17

გენერალური დირექტორის წერილი

შპს „თ და კ რესტორნები“ მაკდონალდს საქართველო დაარსებიდან 20 წელს ითვლის, კომპანიამ თანამშრომლობა მაკდონალდს კორპორაციასთან 1996 წლიდან დაიწყო. ამავე წლიდან ადგილობრივმა მენეჯმენტმა გაიარა 2 წლიანი ტრეინინგი და 1998 წელს 60 კაციანი გუნდი სათავეში ჩაუდგა საქართველოში პირველ მაკდონალდს. 2018 წლისთვის კომპანია 14 ფილიალს მოიცავს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, სადაც დასაქმებულია 1000-ზე მეტი თანამშრომელი, რომელთა საშუალო ასაკი 20-23 წელია. ასევე კომპანიის შემადგენლობაში შედის ლოგისტიკური ცენტრი, რომელიც ახორციელებს პროდუქციის იმპორტს, დასაწყობებას და რესტორნების მომარაგებას.

მომავალში კომპანია გეგმავს გაფართოებას და კიდევ რამდენიმე ფილიალის დამატებას, რათა მაქსიმალურად იქნას ათვისებული სწრაფი კვების სექტორი.

საქართველოში სწრაფი კვების ინდუსტრიაში მაკდონალდსი პირველი იყო და შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტისთვის აღნიშნული სიახლის შეთავაზება ქართველი მომხმარებლისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა. დღეს საქართველოს ბაზარი სწრაფი კვების სექტორში არაერთი კონკურენტით არის წარმოდგენილი. მოცემულ პირობებში მაკდონალდს საქართველო მუდმივად ცდილობს გაუმჯობესებას და განვითარებას. მომხმარებელს სთავაზობს ინოვაციებსა და სიახლეს, როგორც სერვისის ასევე პროდუქტის კუთხით.

20 წლის განმავლობაში კომპანიამ არა ერთი ცვლილება განიცადა, მათ შორის აღსანიშნავია ინოვაციური ტექნოლოგიების იმპლემენტაცია საოპერაციო სისტემაში, კერძოდ სამზარეულოს სტრუქტურის დახვეწა და შეკვეთის პროცესის პერსონალიზაცია.

საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტია თავის მხრივ „მაკდონალდსის“ ლოგისტიკური ჰაბი, რომელიც სოლიდური ინვესტიციის (2.3 მილიონი ევრო) და საერთაშორისო წარმომადგენლობასთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად განხორციელდა. ევროპის „მაკდონალდსსა“ და მის ოფიციალურ პარტნიორ გერმანულ ლოგისტიკურ კომპანია „ჰავისგან“ მიღებული თანხმობის შედეგად საქართველოში ლოგისტიკური ცენტრი აშენდა, რომელიც „მაკდონალდსის“ ისტორიაში პირველი პრეცედენტია, როდესაც მომარაგების სისტემაც მმართველ კომპანიას მიენდო. ჰაბი მთელ ამიერკავკასიის რეგიონზე გათვლილი და მასშტაბით მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს.

ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური მოვლენებიდან გამომდინარე, რაც ვალუტის კურსის დევალვაციაში გამოვლინდა, კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მწარმოებლებთან, რათა მოხდეს იმპორტირებული ნედლეულის ჩანაცვლება, ლოკალური პროდუქციით, რის შედეგადაც ვალუტის კურსისგან მიღებული ზარალი მინიმუმამდე შემცირდება. დღესდღეობით მაკდონალდს საქართველო ნედლეულის იმპორტს სრულად ახორციელებს ევროპიდან.

სამომავლოდ კომპანია გეგმავს ადგილობრივ პურის ქარხანასთან თანამშრომლებას, რომლის მიზანია პურის ქარხანამ მიიღოს მაკდონალდს კორპორაციის სერტიფიცირება. სერტიფიცირების შემდეგ შესაძლებელი იქნება ადგილობრივად წარმოებული პურით, როგორც საქართველოს მაკდონალდსის ლოგისტიკური ჰაბის, ასევე შუა აზრისა და ევროპის ქვეყნების ლოგისტიკური ჰაბების მომარაგება.

ასევე კომპანია გეგმავს ადგილობრივი სალათის და შესაფუთი მასალების მწარმოებლების ხელშეწყობასა და განვითარებას, რათა მოხდეს მათი მაკდონალდს კორპორაციის სტანდარტების შესაბამისი წარმოების ტექნოლოგიის დანერგვა, რაც თავისმხრივ შესაძლებელს გახდის აღნიშნული ნედლეულის გამოყენებას მაკდონალდსის პროდუქციაში. სამწუხაროდ დღეისათვის ადგილობრივი ბაზარი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ნედლეულს ვერ გვთავაზობს, ამიტომაც ჩვენს ქსელში არსებული ყველა სახის საკვები პროდუქტი მხოლოდ ევროპის საუკეთესო საწარმოებიდან მოგვეწოდება, რომლებიც ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს აკმაყოფილებს - „მაკდონალდსი“ ხარისხის კომპრომისზე არასოდეს წავა.

კომპანიის სტრატეგიული პრიორიტეტებია: მომსახურება და სისუფთავე, მომხმარებელზე ორიენტირებულობა, ინოვაციების დანერგვა, ხარისხი, ხარისხის კონტროლი და ბიზნესის მუდმივი განვითარება.

თენგიზ კაპანაძე



1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ

შპს „თ და კ რესტორნები“ დაარსდა 1997 წლის 16 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია საქმიანობს მაკდონალდსის სწრაფი კვების ობიექტების ქსელით და წარმოადგენს მაკდონალდსის კორპორაციის ფრანჩაიზს, რომელიც ამ უფლების გამოყენებას 20 წლის ვადით განსაზღვრავს. 2018 წელს ფრანჩაიზის ხელშეკრულება განახლდა 20 წლის ვადით.

2018 წლის 30 სექტემბერსთვის საქართველოში მაკდონალდსის 14 რესტორანი და 1 ლოგისტიკური ცენტრი ფუნქციონირებს. 8 რესტორანი და ლოგისტიკური ცენტრი მდებარეობს თბილისში, ხოლო 6 რესტორანი განლაგებულია საქართველოს რეგიონებში, კერძოდ: ქუთაისში 2 რესტორანი, ბათუმში 2 რესტორანი, ზუგდიდში 1 რესტორანი და რუსთავში 1 რესტორანი (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1

ფილიალების ლოკაცია	
1	ქ. თბილისი, ძმ. კაკაბაძეების N1
2	ქ. თბილისი, მარჯანიშვილი N20
3	ქ. თბილისი, სპორტის სასახლის მიმდ. ტერიტორია
4	ქ. თბილისი, წერეთელის გამზირისა და ბაგრატიონის ქუჩის გადაკვეთა
5	ქ. თბილისი ჯ. ბალანჩინის
6	ქ. თბილისი, თვალვაჭრელიძის 2
7	ქ. თბილისი, ხიზაბავერის N1
8	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 2/4
9	ქ. რუსთავი მეგობრობის გამზ. მიმდებარე ტერიტორია
10	ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის 57ა
11	ქ. ქუთაისი დ. აღმაშენებლის N1
12	ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას N45
13	ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქუჩა
14	ქ. ბათუმი გამსახურდიას 8/10
15	ქ.თბილისი,ლილო ლოჭინის ხევი ნაკვეთი (ლოგისტიკური ცენტრი)

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ძმები კაკაბაძეების ქუჩა N1.

მაკდონალდს საქართველოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სწრაფი კვების ობიექტების ქსელით მომსახურება. სამოქმედო ბაზარი მოიცავს, ქვეყნის მასშტაბით არსებულ ლოკაციებზე მომხმარებლების მოზიდვას, მათთვის ხარისხიანი პროდუქციისა და სერვისის შეთავაზებით. ასევე შპს „თ და კ რესტორნების“ საოპერაციო საქმიანობა მოიცავს ლოგისტიკურ ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს რესტორნებისთვის საჭირო მარაგის იმპორტს, დასაწყობებას და დისტრიბუციას თითოეულ ლოკაციაზე. ლოგისტიკური ცენტრი აშენებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს 25 რესტორნის მომსახურება.

იმპორტი ხორციელდება საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიების საშუალებით, რომელიც ასევე ემსახურება მაკდონალდსის საერთაშორისო ქსელს ევროპის მასშტაბით. ლოკალურად, დისტრიბუცია ხორციელდება მაკდონალდს საქართველოს ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებებით. სეზონურად ხდება დამატებით ადგილობრივი სატრანსპორტო კომპანიების ქირაობა რეგიონებში პროდუქციის ტრანსპორტირების მიზნით.

1.1 ჩვენი გუნდი

კომპანიის შიდა სტრუქტურა ოპტიმიზირებულია და მაქსიმალურად არის მორგებული იმ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობს კომპანიის მასშტაბით. ასევე კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა შეესაბამება მაკდონალდს კორპორაციის ორგანიზაციული სტრუქტურის სტანდარტულ სქემას. კერძოდ კომპანიის შიდა მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი დეპარტამენტებისგან:

- საოპერაციო;
- ლოგისტიკური;
- დეველოპერული;
- ხარისხის;
- კადრების;
- იურიდიული;
- მარკეტინგული;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების;
- ფინანსური;

დეპარტამენტები ექვემდებარება, კომპანიის გენერალურ დირექტორსა და კომპანიის პრეზიდენტს.

1.2 მაკროეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი ნიშანთვისებები

კომპანიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური მოვლენები, კერძოდ ვალუტის კურსის დევალვაცია.

მაკდონალდს საქართველო ახორციელებს სარეალიზაციო პროდუქციისთვის მარაგის, კაპიტალდაბანდებათებისთვის საჭირო სამშენებლო ტექნიკისა და ტექნოლოგიის იმპორტს. ძირითადად კომპანია შესყიდვებს ახორციელებს ევროს ვალუტაში. გასული ორი წლის განმავლობაში, ევროს მიმართ ლარის გაუფასურების შედეგად კომპანიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიიღო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან განხორციელებული ინვესტიციების დაფინანსება ხდება საბანკო რესურსით, რომელიც ასევე უცხოურ ვალუტაში არის მიღებული და არსებითად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

2. კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიის სტრატეგიული განვითარების გეგმა, თბილისის მასშტაბით ოთხი ახალი ობიექტის გახსნას ითვალისწინებს. განვითარების გეგმა ორიენტირებულია მაქსიმალურად მოხდეს თბილისის საბაზრო არიალის დაფარვა, რათა მომხმარებლებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს კომპანიის მომსახურების მიღება. პარალელურად მიმდინარეობს არსებული რესტორნების ტექნოლოგიური განვითარება და განახლება, მაკდონალდსის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კერძოდ არსებული რესტორნებში ხდება სხვადასხვა ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, რაც მომხმარებლის სტუმრობას უფრო კომფორტულს და სასიამოვნოს გახდის. სერვისის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა და განხორციელდება კომპანიაში, კერძოდ დაინერგა და ინერგება: თვითმომსახურების კიოსკები, მაგიდასთან მომსახურების სერვისი, მობილური

აპლიკაცია და ადგილზე მიტანის სერვისი. ყველა მიმართულება სრულად მოიცავს მაკდონალდს საქართველოს ქსელს 2020 წლის ბოლომდე. 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით აღნიშნული ტექნოლოგიური სიახლეები დაწერგილია 2015 წლიდან დღემდე გახსნილ ყველა რესტორანში, გარდა ადგილზე მიტანის სერვისისა.

კომპანიის განვითარების გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ტექნოლოგიური განვითარება, რომელიც როგორც სერვისის მხრივ ინოვაციური ტექნოლოგიების დაწერგვას, ასევე შიდა კონტროლის მექანიზმების ავტომატიზაციასა და დაგეგმარების პროცესის, ტექნოლოგიური საშუალებებით უზრუნველყოფას გულისხმობს.

კომპანია შიდა კონტროლის და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვის მიზნით 2015 წლიდან იყენებს ERP პროგრამას, კერძოდ Microsoft Navision Dynamic-ს, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიაში მიმდინარე ყველა პროცესის ავტომატიზაციას და ეფექტურ კონტროლს.

ფინანსური თვალსაზრისით კომპანიის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, დანაკარგების მინიმიზაცია, რესურსების სწორი განაწილება, ხარჯების ოპტიმიზაცია და პროგნოზირებული მაჩვენებლების მაქსიმალურად რეალურ შედეგებამდე დაყვანა. აქედან გამომდინარე მარაგების ეფექტური მართვისა და რეალიზაციის პროგნოზირებისთვის კომპანია გეგმავს ახალი პროგრამის დაწერგვას, რომლის ინტეგრირება მოხდება ERP-ი სისტემასთან და უზრუნველყოფს რესურსების ეფექტურად მართვას. პროექტის განხორციელება იგეგმება 2019 წლის განმავლობაში.

სტრატეგიული განვითარების გეგმა განხორციელება 2019-2020 წლების განმავლობაში. პროექტების დაფინანსებისთვის მაკდონალდს საქართველო სახსრებს მოიზიდავს ადგილობრივი და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებთან ერთობლივი თანამშრომლობით.

პროექტის დაფინანსება იგეგმება უცხოურ ვალუტაში, რაც მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორია ქვეყანაში მიმდინარე დევალვაციის პირობებში, რადგან კომპანია შემოსავალს იღებს ადგილობრივ ვალუტაში, ხოლო მოზიდული სახსრების დაფარვა უცხოურ ვალუტაში განხორციელდება.

მნიშვნელოვანი გარე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს განვითარების გეგმის განხორციელებაზე, პირველ რიგში არის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, კერძოდ: ქვეყნის მასშტაბით ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურიზმის ზრდაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. თითოეული გარე ფაქტორი მნიშვნელოვანი გავლენის მატერებელია კომპანიის სტაბილურობასა და შემოსავლების რეალურ ზრდაზე, შესაბამისად კომპანიისთვის მნიშვნელოვანია ვალუტის კურსის სტაბილურობა, ინფლაციის მიზნობრივ დონესთან ახლო დიაპაზონის შენარჩუნება, ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ვალუტის კურსის დევალვაციის ელიმინირებისთვის, სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ადგილობრივ საბანკო სექტორის განვითარებას, რათა ხელმისაწვდომი იყოს ფინანსური რესურსის ლოკალურ ვალუტაში მოზიდვა, ეფექტური პირობებით.

3. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

4. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას.

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები:

5.1 ფინანსური მაჩვენებლები

2017 წელს კომპანიის შემოსავალი 2016 წელთან შედარებით გაიზარდა 27%-ით, რაც ძირითადად განპირობებულია 2017 წლის დასაწყისში არსებულ ფილიალებში სტუმრების რაოდენობის ზრდითა და ორი ახალი ფილიალის გახსნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტურიზმის დადებითი გავლენა კომპანიის შემოსავლებზე, რომელიც მაქსიმალურ მაჩვენებელს ზაფხულის პერიოდში აღწევს.

	2017	2016	ცვლილება %
შემოსავალი	63,685,685	50,212,984	27%

შემოსავლების ზრდის პარალელურად 2017 წლის ბოლოს 25%-ით გაიზარდა პირდაპირი ხარჯების მოცულობა:

	2017	2016	ცვლილება %
პირდაპირი ხარჯები	(49,823,292)	(39,864,851)	25%

მიუხედავად ვალუტის კურსის დევალვაციისა კომპანიამ 2017 წლის ბოლოს 2016 წელთან შედარებით პირდაპირი ხარჯების პროცენტული თანაფარდობა მთლიან შემოსავალთან მიმართებაში 1.2%-ით გააუმჯობესა:

	2017	%	2016	%	ცვლილება %
შემოსავალი	63,685,685		50,212,984		
პირდაპირი ხარჯები	(49,823,292)	78%	(39,864,851)	79%	-1.2%

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელმაც დადებითი გავლენა მოახდინა პირდაპირი ხარჯების პროცენტულ გაუმჯობესებაზე 2017 წელს, არის შრომითი საათების მიღებულ სტუმრებთან თანაფარდობის კოეფიციენტი (GCPMH). აღნიშნული კოეფიციენტი განსაზღვრავს თუ რამდენად ეფექტურად მოხდა კომპანიაში შრომითი რესურსების გამოყენება, კონკრეტულად 2016 წლის ბოლოს აღნიშნული კოეფიციენტი საშუალოდ მთლიანად სისტემის ჭრილში შეადგენდა 4.95, ხოლო 2017 წლის ბოლოს

შეადგინა 5.81. 1 პუნქტიანი გაუმჯობესების შედეგად კომპანიაში პირდაპირი ხელფასის ხარჯის, საკვები და სასმელი პროდუქციის რეალიზაციასთან თანაფარდობამ შეადგინა:

	2017		2016		ცვლილება %
საკვები და სასმელი პროდუქციის რეალიზაცია	61,258,935		48,385,554		
ხელფასი	(9,220,269)	15%	(7,650,528)	15.8%	-0.8%

ხელფასის ხარჯის პროცენტული მაჩვენებლის კალკულაციაში არ გაითვალისწინება არასაკვები პროდუქციის რეალიზაცია, რადგან არასაკვებ პროდუქციაზე არ იხარჯება სამუშაო საათები, აღნიშნული პროდუქტი უკვე მზადაა რეალიზაციისთვის შრომითი დანახარჯების გარეშე. საბოლოო ჯამში კოეფიციენტი 0,8%-ით გაუმჯობესდა გასულ წელთან შედარებით. რაც თანხობრივად დაახლოები 490,000 ლარით ხარჯების ოპტიმიზაციას გულისხმობს.

კომპანია 2015 წლიდან მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს, კერძოდ 2015 წლიდან 2017 წლის ბოლომდე გაიხსნა 7 ახალი ფილიალი და ლოგისტიკური ცენტრი, თითოეული პროექტის დაფინანსება მოხდა გრძელვადიანი სესხის საშუალებით უცხოურ ვალუტაში (ევრო).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2016 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 11.11%-იანი დევალვაცია განიცადა ადგილობრივმა ვალუტამ ევროსთან მიმართებაში. დევალვაციის შედეგად მნიშვნელოვანად გაიზარდა კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი 2017 წლისთვის.

კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7940
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	3.1044
დევალვაცია	-0.3104
დევალვაცია %	-11.11%

2017 წლის ბოლოს კურსთაშორის სხვაობიდან მიღებულმა ზარალმა შეადგინა 4,039,037 ლარი, მაშინ როცა 2016 წელს მიღებული ზარალი 2,851,871 ლარს შეადგენდა (42%-იანი ზრდა). ზარალის არსებითობა გამოწვეულია ვალუტის დევალვაციის და სასესხო რესურსის ევროს ვალუტაში არსებობის შედეგად, რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა გამოყენებულია ახალი ფილიალების მშენებლობისთვის.

	2017	2016	
საკუროს სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტი	(4,039,037)	(2,851,871)	42%

2017 წელს მაკდონალდს საქართველომ განახორციელა ძირითადი საშუალებების, კერძოდ შენობა-ნაგებობების და მიწის აღრიცხვის მეთოდის ცვლილება და გადავიდა გადაფასების მეთოდზე.

გადაფასების შედეგად კომპანიის აქტივები გაიზარდა 31,968,628 ლარით, ხოლო გადაფასების შედეგად მიღებულმა ზარალმა შეადგინა 2,614,987 ლარი.

გადაფასების ეფექტის გათვალისწინებით და ახალ ფილიალებთან დაკავშირებულ კაპიტალური დანახარჯების შედეგად, ჯამურად 2017 წელს კომპანიის გრძელვადიანი აქტივების წმინდა ზრდამ 35,839,570 ლარი შეადგინა.

2017 წელს 2016 წელთან შედარებით გრძელვადიანი სესხის მოცულობა გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ორი ახალი რესტორნის აშენებისთვის მიღებული სესხით. ამავდროულად 2017 წელს მოხდა სესხის რეფინანსირება, უფრო ხელსაყრელი პირობებით. რეფინანსირების შედეგად შემცირდა გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის მოცულობა. გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის შემცირებამ გააუმჯობესა მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკის დიაპაზონი 2016 წელთან შედარებით, დაახლოებით 3.3 მლნ ლარით.

	1 წლამდე 2017	1 წლამდე 2016	ცვლილება
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები	457,585	66,153	
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,222,651	948,705	
	1,680,236	1,014,858	
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	5,786,797	8,358,857	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,459,534	7,548,678	
	13,246,331	15,907,535	
	(11,566,095)	(14,892,677)	
ღია საბალანსო პოზიცია	(11,566,095)	(14,892,677)	3,326,582

2016 წელთან შედარებით სავაჭრო ვალდებულებებში უმნიშვნელო ცვლილებაა, რადგან კომპანიას სტანდარტული კონსიგნაციის პერიოდი აქვს (საშუალოდ 40 დღე).

	2017	2016	ცვლილება %
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,382,600	8,171,187	2.6%

კომპანიას გამოცხადებული დივიდენდის მოცულობა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში არ შეუცვლია.

გადაფასების შედეგად 2017 წლისთვის სულ კაპიტალმა შეადგინა 42,460,017 ლარი.

2017 წელს წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 2016 წელთან შედარებით 15.5%-ით (1,039,539 ლარით) გაიზარდა, რაც შემოსავლების ზრდისა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგად იქნა მიღწეული.

2017 წელს 2016 წელთან შედარებით საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულ ფულადი სახსრების მოცულობა შემცირდა 33,6%-ით. კერძოდ 2017 წელს გაიხსნა 2 ახალი ობიექტი, ხოლო 2016 წელს 3 რესტორანი და ლოგისტიკური ცენტრი.

2017 წლის ბოლოს წმინდა ფული და ფულის ეკვივალენტებმა 1,222,651 ლარი შეადგინა, რაც 28.88%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

	2017	2016	ცვლილება %
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	7,749,160	6,709,621	15.5%
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(9,799,630)	(14,752,391)	-33.57%
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	2,750,577	8,671,464	-68.28%
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა	700,107	628,694	11.36%
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,222,651	948,705	28.88%

5.2 არაფინანსური მაჩვენებლები

მაკდონალდს საქართველო ოპერირებს მომსახურების სფეროში, შესაბამისად მომხმარებლისა და თანამშრომლების კმაყოფილება, ასევე სერვისის გაუმჯობესება კომპანიისათვის პრიორიტეტული საკითხია. აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანია აქტიურად ნერგავს ინოვაციურ ტექნოლოგიებს.

მაკდონალდს კორპორაცია ტექნოლოგიურ ეპოქაში აქტიურად 2015 წლიდან ჩაერთო და თავის საკუთრებაში არსებული რესტორნების ახალ სისტემაზე გადაყვანა დაიწყო. EOTF (Experience of the Futer)1.0-ის ფარგლებში კომპანია მომხმარებელს სრულიად ახალ სერვისს სთავაზობს, რომელიც მომსახურების მიღებას უფრო სწრაფს, ინდივიდუალურს, ხარისხიანს და სასიამოვნოს ხდის. მაკდონალდს საქართველომ 2015 წლიდან დღემდე 8 ახალი ფილიალი გახსნა. აღნიშნულ ფილიალებში დაინერგა ახალი საოპერაციო სისტემა, რომლის იმპლემენტაცია მაკდონალდს კორპორაციამ დაიწყო 2015 წლიდან და მასში მაკდონალდს საქართველოც ჩაერთო. ინოვაციური ტექნოლოგიით, ახალი რესტორნები, ძველი ძველი რესტორნებისგან განსხვავდება სამზარეულოს სტრუქტურითა და შეკვეთის სისტემით. მოცემული ინოვაციის დაწერვა დიდი გამოწვევა იყო კომპანიისთვის და ასევე დიდი პასუხისმგებლობა, რადგან მსგავსი ტიპის სერვისი პირველი იყო საქართველოს ბაზრისთვის და საკმაოდ დიდ ძალისხმევას სააჭიროებდა.

დღეს მაკდონალდს საქართველოში ოპერირების ორი სისტემა ფუნქციონირებს, რომელიც ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან.

- Standart Restaurant System
- Platform integration System (PI) Made for You


ორივე ზემოაღნიშნული დაკავშირებულია სამზარეულო სტრუქტურასთან, და ოპერირების კუთხით სრულიად განსხვავებულია. ძირითადი განსხვავება აღნიშნულ ორ სისტემას შორის შემდეგია: Platform integration System (PI) Made for You დროს შეკვეთის მომზადება იწყება უშუალოდ შეკვეთის მიღების წამიდან, ხოლო Standart Restaurant System- ის შემთხვევაში პროდუქტის მომზადება ხდება სტატისტიკურ მონაცემებზე

¹ EOTF (Experience of the Futer)- გამოსცადე მომავალი, მაკდონალდს კორპორაციის სტრატეგიული მოდელი

დაყრდნობით, ანუ დროის გარკვეულ მონაკვეთში შესაბამისი რაოდენობის პროდუქტი მუდმივად განთავსებულია დახლზე.

ახალი სისტემა თავისხმრივ მოიცავს მასთან დაკავშირებულ ინოვაციურ ტექნოლოგიებს:

- შეკვეთის მაგიდასთან მოტანის სერვისი (Table service System)
- კიოსკით შეკვეთა (Kiosk Ordering System)
- რიგის ნომრით მოლოდინის სისტემა (Split Counter System)
- მობილური აპლიკაცია (Mobile App)
- მოდერნიზირებული სარეკლამო დაფები (Modernized Menu Boards)



ახალი სისტემის დანერგვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი უპირატესობები:

- სტაბილური გემო და მომსახურების ხარისხი გაყიდვების სხვადასხვა დონისას. (პიკი საათის პერიოდში). შეკვეთის მზადების დაწყება უშუალოდ შეკვეთის მიღებისთანავე უზრუნველყოფს გემოს სტაბილურობას და ასევე მომსახურების პერიოდის მინიმიზაციას
- მაქსიმალურად პერსონალიზირებული შეკვეთის პროცესი
- არჩევანის საშუალებები
- მრავალფეროვანი ვიზუალიზაცია
- პროცესის სიმარტივე

- კომფორტული გარემო

კომპანიისთვის:

- მარკეტინგის დეპარტამენტის დამატებითი მექანიზმი გაყიდვების სამართავად.
- თვითღირებულების შემცირება
- დანაკარგების მართვის მექანიზმი
- შრომითი ანაზღაურების ხარჯის შემცირება
- ენერგო ეფექტური მანქანა დანადგარები
- ეფექტური ინვესტიცია
- ერთიანი საწარმოო პროცესი ყველა პროდუქტისათვის, გაყიდვების სხვადასხვა დონის პირობებში
- მომსახურე პერსონალის ეფექტური დელეგირება.
- მარტივი და სწრაფი მართვის მექანიზმები.
- სამომავლო სერვისის პლატფორმების მხარდაჭერა

დღევანდელ კონკურენტულ გარემოში როდესაც კომპანიები მრავალფეროვან სერვისს სთავაზობენ მომხმარებელს, მსგავსი ტიპის სიახლითა და დამატებითი შესაძლებლობებით მომხმარებლისთვის მიწოდების პროცესი უფრო საინტერესო, კომფორტული და მიმზიდველი ხდება.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მაკდონალდს საქართველოსთვის ძირითად რისკ ფაქტორს წარმოადგენს არასტაბილური ეკონომიკური გარემო. კონკრეტულად ვალუტის კურსის მერყეობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს, კაპიტალდაბანდებებს და ფინანსური რესურსების მოზიდვას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად კურსის მცირედი დევალვაცია, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე. აქვე უნდა გავითვალისწინოთ რომ გასული წლების განმავლობაში დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის მასშტაბით ტურიზმის ზრდამ, შესაბამისად კომპანიისათვის მნიშვნელოვანია მომავლშიც შენარჩუნდეს ტურიზმის ზრდის ტენდენციის.

მაკდონალდს საქართველოს სტრატეგიული გეგმის შესრულებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ქვეყნის მასშტაბით ინფრასტრუქტურის განვითარება. აქედან გამომდინარე კომპანიისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

საბოლოოდ კომპანიის სტაბილურობისთვის აუცილებელია შენარჩუნდეს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტენდენცია, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება.